

## ფესვები

როცა ყველაფერი იწყება ერთ ღარიბულ და მაინც მოსიყვარულე ოჯახში, დრო ჩვეულებრივზე უფრო ნელა გადის. არა მდინარის ჩვეულებრივი დინებით, არამედ აღელვებული ზღვის ტალღებით მრისხანედ. როცა ფიქრი იმაზე, რომ ბედნიერება წვრილმანებშია, უბედურებამდე მიდის და როცა საკვებისა და წყლის ნაცვლად საკუთარ ცრემლებს ყლაპავ. როცა შვილებისთვის საუკეთესო მამას, ისევ ქუჩაში გაჭირვებით ნაშოვნ "ქემელით" გაჟღენთილ ფილტვებიანს, უფროსი შვილის სუნთქვა ისე ესმის, რომ ყრუ ხმით ეკითხება, - მამა, ხომ კარგად ხარ?! როცა შვილებისთვის თავგანწირული დედა უმცროს შვილს უყურებს, ვერც კი იღიმის. ერთმანეთისთვის ჭიქით მიაქვთ ჰაერი, რომ არ დაიხრჩონ. როცა არაფერი აქვთ, გარდა სიყვარულისა. როცა ოთხივე დროის დინება ერთანეთს ავსებს და როცა ყელზე საბელით ლოგინს აბიან.

### დიალოგი N1 (დედა-მამა)

- დღეს ისევ არაფერი გვაქვს. - თვალებს ნაბავს და ქმარს მხარზე თავს ადებს.

- წავალ, რამეს მოვიტან. - ამბობს ქმარი, დგება და მიდის.

თავგანწირული დედა შვილების ოთახში შედის, საწოლზე ჯდება და ორივეს შუბლზე ხელს უსვამს. უფროსი ბიჭი ყელში კოცნის დედას და თვალებს იფშვნეტს.

- ისევ ვერ უსხლტები, დედი, სევდის გისოსებს?! - ძლიერად ეხუტება და თვალებს უკოცნის.

- ხვალ მიდიხარ, დედა, და რა ფასი აქვს ახლა ჩემს სიცოცხლეს?! უშენოდ იქ ვმთავრდებით, სადაც ვიწყებით. - თვალიდან ერთი ცრემლი გადმოუვარდა.

- დედი, "ვიდრე ხარ, ვიდრე გათოვს და გაწვიმს, არ წარიკვეთო არასდროს სასო". ლილიანს მიხედეთ და ჩემზე ნუ იჯავრებთ. ვისწავლი, ვიმუშავებ. რა აზრი ექნებოდა ჩემს ამქვეყნად მოვლენას, თუ ყოველთვის აქ ვიქნებოდი. ჩემი სხეულიცა და სულიც დედამიწის ძველ ქანებს ემსგავსება და ნუ მომისპობ წასვლის სურვილს, რომ შევცვალო ჩვენი ცხოვრება....

### დიალოგი N2 (ლილიანი-მათე-დედა)

- მათე, ხომ არასდროს დამივიწყებ?! - ეკითხება პატარა ლილიანი უფროს ძმას, რომელიც ჩანთას ალაგებს. მათე სახტად რჩება, ხელ-ფეხი უშემდებია. ეუცხოვება ეს უჩვეულო სინაზე.

- პერანგი ჩაიყოლე. თავს მიხედე და როგორმე ბევრი ხილი ჭამე, ვიტამინები აქვს და ცუდად არ გახდები. - დედამ თვალებზე ცრემლები შეიშრო.

-ნუ ტირი,გთხოვ.მალე ჩამოვალ,გპირდები.

-მონატრება დროითი კი არა,სივრცითი ფენომენია.შეიძლება,ადამიანი მთელი თვე ვერ ნახო,მაგრამ თუკი ის სადმე წავა და მასთან შეხვედრის ალბათობა ნულს გაუტოლდება,პირველივე კვირას მოგენატრება.შვილო,შენ კარგად იყავი და მეტი მეც რა მინდა.

სახლს ერთი წევრი გამოაკლდა.დახეულ შპალერს მოენატრება თავისი მდგომარეობის მიზეზი,რომელთან ერთადაც გაუვლია 18 წელი და რომელთან ერთადაც გაშავებულა თუ განადგურებულა.ასეთი ოჯახის სიყვარულს რა გაანახევრებს?!ან თუნდაც რა შეცვლის?!მანძილი ყოველთვის აძლიერებს მას.სახლში დაისადგურა ულუკმაპუროდ დარჩენილმა მელანქოლიამ,სიჩუმეში ცრემლების ყლაპვის ხმამ და ლილიანის სევდანარევემა სიტყვებმა:"ხომ დაბრუნდება?!"

მათე სწავლობდა,მუშაობდა,ბევრ ხილს ვერ ჭამდა და ძილის დროც არ ჰქონდა.წლები გადიოდა.ის ეჩვეოდა ოჯახის გარეშე ცხოვრებას და იშვიათადაც ეხმიანებოდა მათ.მხოლოდ ფულს აგზავნიდა,რომ შიმშილით არ დახოცილიყვნენ.

რამდენიმე წელი გავიდა.ახლა პატარა ლილიანი უკოცნიდა დედას სევდიან,ცრემლნარევე თვალებს და მათეზე ფიქრით დადლილს დედის კალთაში ეძინებოდა."ხომ დაბრუნდება?!ხომ დაბრუნდება?! დაბრუნდება ,არა?!"-სიზმარს ჰყვებოდა უკვე დაქალიშვილებული ლილიანი ,მაგრამ მათესგან არაფერი ისმოდა.მისგან გამოგზავნილ ფულს ქვეყნად საუკეთესო მამა ოთახის საწოლის ქვეშ მალავდა და აგროვებდა.მათე უკვე ბევრ ხილსაც ჭამდა და შენსანიშნავი ცხოვრებაც ჰქონდა.მეგობრებთანაც კარგ დროს ატარებდა.მისი ოჯახი კი ისევ ცრემლებით იკვებებოდა.ექვსმა წელმა გაიარა.არც ერთს არ განელებია მათეს წასვლით გამოწვეული ტკივილი.მიუხედავად იმისა,რომ ძლივს არსებობდნენ,მამამ შეაგროვა მათეს გამოგზავნილი ფული და მისთვის სახლის აშენება დაიწყო.ექვს წელიწადს ორი წელიწადი მიემატა.ლილიანი ვეღარ უძლებდა.

ტელეფონზე ზარი...გოგოს აკანკალებული ხმა:

-მათე,ხომ დაბრუნდები?!

პასუხად ქალის სინაზე:

-ახლავე დავუძახებ მათეს.

იქვე ფაჩუნი და კოცნის ხმა...გულგატეხილი ლილიანი...ყურმილში გაბმული გრძელი ზუმერი...

კიდევ ექვსი თვე იწურება.მამა დაულალავად შრომობს.

მათეს ოთახი..გაყვილთებული,ძველი შპალერი.მამის გულის აჩქარება და ლოყაზე დაგორებული გულჩვილი ცრემლი.ოთხკუთხედური ფორმით ამოჭრილი მათეს ყვითელი შპალერი და სურათად ქცეული ყვითელი მოგონებები.მამამ ჩარჩოში ჩასვა მათეს კედლის შპალერი ,რათა ახალ სახლში დაეკიდა.....

-დედა,მათე ჩამოვიდა!..-ცრემლიანი მივარდა ლილიანი მათეს და მკერდზე მუშტები დაუშინა.-ყველაფერი შენი ბრალია,შენ გამო დაგვტოვა მამამ,შენ გამო გაეყინა სული და სხეული...-გამწარებული ლილიანი არ ჩერდებოდა,მათე კი მხურვალედ იკრავდა მონატრებულ დას.

შესვლა...შავებში ჩაცმული მომკვივანი დედა...გათეთრებული მამის ცივი ხელები...კივილი...ჩივილი...ტირილი...ჩხუბი...ჩახუტება...გასვენება და მამის დამარხვა...

დიალოგი N3(მათე-დედა)

-წამოდი,შვილო...

მათე ნელი ნაბიჯებით გაჰყვა დედას.მამის ხელით აშენებულმა სახლმა ღუმილი არ აპატია და ცრემლები წასკდა..

-ეს...ეს...ნუთუ?!

დედამ შვილი თავის ახალ ოთახში შეიყვანა.მათე გაცემით ,ცრემლების წმენდითა და ზღუქუნით უყურებდა კედლის ერთ ნაწილს,საიდანაც მთელი 18 წელი უმზერდა.

წარწერა სურათის უკანა მხარეს...

"ნურასოდეს დაივიწყებ,ვინ ხარ,საიდან მოდიხარ და სად არის შენი ფესვები.აქეთ არაფერი იცვლება,ისე როგორც,ორჯერ ორი ისევ ოთხია.ყველა ერთ ტოტზე ვართ ჩამოკიდებულნი და ერთმანეთს ვაბალანსებთ.თუ შენ ჩამოხვალ,ყველა ჩამოვცვივდებით.ნუ წახვალ სამუდამოდ.ჩვენთან დარჩი.ფესვები მეტად მყარია,შვილო,ნუ მიგვატოვებ.გახსოვდეს,რა გამოგივლია და სად ხარ."

ცრემლები...ბევრი ცრემლი...ცარიელი,უჰაერო ჭიქა და მათეს ხველება...სინანული...სინანული სიცოცხლის ბოლო წუთამდე...და-მმის ტკბილი ალერსი...დედის ორივე შვილისაგან დაკოცნილი თვალები და სამი ოჯახის წევრი...